

თათონი მთავრობა
 უსამ სიტყვანთი ლენსილონი კანონთათვის



- ჯანდაბა! არ იკითხება! ამნაირი სიტყვები არასდროს იკითხება! რა უბედურებაა! - ვცდილობ ძველ ხელნაწერში უცნაური აღნაგობის მქონე სიტყვა ამოვიკითხო და ჩემს ლამაზად დალაგებულ საპროექტო წინადადებაში ჩავსვა - მეტი ელევანტურობისთვის, მეტი დამაჯერებლობისთვის, მეტი მეცნიერულობისთვის, მეტი ფულისთვის.

- სად მიდიან სიტყვები? - მეკითხება და კლავიატურაზე მორბენალ ჩემს თითებს თვალებით მისდევს.

- კომპიუტერში, - თავიდან მოვიშორე - ასე მგონია.

- და კომპიუტერიდან? - „მოიშორე არა! აუ, რა ტვინის ბურღია ეს ბავშვი,“ - ვფიქრობ და საკუთარ თავზე ვბრაზდები, ეგეთი რომ გავაჩინე. არ ვპასუხობ.

- სად მიდიან? - ახლა უკვე მკაცრად მეკითხება, - კომპიუტერიდან სად მიდიან სიტყვები?

სანამ პასუხს არ მიიღებს, არ გაჩუმდება. ვიცნობ. ჩემი ქმნილებაა. მაგრამ არ მგავს. მე ასეთი არ ვიყავი. მე არ ვყოფილვარ ბავშვი.

- ადრესატთან, ვისაც ვუგზავნი იმასთან! - მგონია, საუკეთესო პასუხი შევარჩიე ყველაზე უაზრო პასუხთაგან და წინასწარ ვტკბები მისი ჩაჩუმების პერსპექტივით.

- როცა ფურცელზე წერ, მაშინ სად მიდიან? - მაინც არ მეშვება. აუ, ვინაა ეს?! აღარ შემიძლია, ველარ ვუძლებ. პირდაპირ იქ მირტყამს, სადაც ყველაზე მეტად მეზარება.

- ფურცელზე რჩებიან, სად უნდა ნავიდნენ?!

შანსი არაა, ამ სალამოსაც ვერ დავნერ ამ ოხერ პროექტს და ეჭვი მაქვს - ვერც ხვალ, ამ ბავშვის უაზროდ წიაღმსვლელი კითხვების გადამკიდე. კომპიუტერს ვთიშავ.

- რა გინდა ჩემგან?! - ვეკითხები სრული სერიოზულობით და ცოტაც ბრაზით.

- როცა ლაპარაკობ, მაშინ სად მიდიან სიტყვები? ვფიქრობ.

არ ვიცი სად მიდიან სიტყვები.

ან რატომ მიდიან.

ან რატომ აღარასდროს ბრუნდებიან უკან.

არ ვიცი, მაგრამ ამას ვერ ვეტყვი.

არ შემიძლია ვთქვა, რომ ისიც კი არ ვიცი, რა მიმართულებას ვაძლევ საკუთარ ხმას.

- სად მიდიან? სად მიდიან?- სამაგიეროდ მან იცის რა მიმართულება უნდა მისცეს თავის ხმას საიმისოდ, რომ ჩემს არარაობაში დამარწმუნოს, საბოლოოდ დამშალოს, - სად მიდიან სიტყვები?

ველარ ვუძლებ და ვალიარებ:

- ღმერთთან!

- ანუ სიტყვებიც კვდებიან?

- არა! იხოცებიან!

- მაშინ რატომ წერ? რატომ კლავ სიტყვებს?

II

ლეუშა რო გავიცანი, მეგონა რაღაც პონტში გაასწორებდა მაგასთან დვიჟენიობა, რაღაცნაერად პრადვინუტი ტიპია რა, ვაფშე არ ლაპარაკობს, მარა იმენნა ეტყობა რო პრადვინუტია. თავიდან, ბაზარი არაა, მართლა მისწორდებოდა, მარა ცოტა ხანში ისე გამოსირდა, რო კათოლიკურ ეკლესიაში დაიწყო სიარული. კიი, ძმაო, სადაც უნდა იქ ივლის, ყველამ თავისი საქმისა იცის, მარა იმენნა, შემცა, წამო წამო წამო შეჩემა, აზზე არა ხარ რას კარგავო. აი ძაან რო გალუნა ტვინი, წავყევი, მეთქი - შევხედავ, რა დაევასა, რა ნახა ეგეთი ამ კათოლიკეებში, მთელი ცხოვრება იმას ამტკიცებდა, “მართმადიანი” ვარო და ეხა, ჰოპ და კათოლიკედ გაეძრო. ხოდა, წავყევი რა.

ისე, ბავშვობიდან მევასებოდა მაგათი ეკლესიები. მე კი არ ვყოფილვარ, მარა ტელევიზორში მაქ ნანახი. აი, პაპს რო აჩვენებდნენ ხოლმე მაგათი შობის დროს, ქართულადაც ხო ამბობდა რაღაცას. აუ რა ერქვა ამის წინა პაპს? ორი სახელი რო ქონდა იტოგში, ეგ ტიპი მევასებოდა, ჩემი ძმაკაცის პაპას გავდა მაგრა, ვალიკოს. ეს ახალი პაპა არ ვიცი რა როჟაა, ცოტა შენძრეულიაო ამბობენ, ლიბერასტებს იცავსო და ეგეთი პონტები, ერთი-ორჯერ შევესნარი ჩემი ბიჭები მაგარს იფურთხებოდნენ მაგის გამო, მარა მე სუ მკიდია, ჩემი პატრიარქი ეგ არ არი და რა პონში უნდა ვიშალო ნერვები?

კაროჩე, წავყევი იმ მართლა ლეუშას - მესაო თუ რაღაც ეგეთზე და დავჯექი რა დასტონათ ეკლესიაში. ტიპებმა რაღაცეები იჩალიჩეს, ილაპარაკეს, იმღერეს მარა ნიტო იტალიურად ნიტო რაღაც ეგეთ ენაზე და ვერაფერი გავიგე. ვისხედით ორი საათი მე და ეს ლეუშა და ეს ჩემისა

ისეთი სახით უყურებდა და უსმენდა, რო დამთავრდა ვეკითხები - ბრატ, შენ ეს იტალიური საიდან იცი მეთქი? ეგ იტალიური არაა, ლათინურიაო. გამოვსირდი ცვეტში. მეთქი - ლეუუშ, შე ლატინა გლადიატორო! და ტიპმა - არა, შეჩემა, რა ლათინური, აზზე არ ვარო. და აბა, რა პონტში დადინარ, ვაფშე რას იგებ-მეთქი და რო ვერ ვიგებ - ეგ მევასებაო. აუ, შე მართლა ლათინოსო-მეთქი და წამოვედი.

კი ეგრევე წამოვედი, მარა ეგეთი დამპალი დღე ცხოვრებაში არ მქონია. აი, იმ ნაშების წინ რო მომამარდინეს, ეგ დღეც კი არ იყო ეგეთი დამპლური. აზრზე არა ვარ, რა გამიკეთეს, მარა რაღაც უეჭველი გამიკეთეს ტიპებმა იმ ეკლესიაში. მთელი ღამე ერთი წინადადება მიტრიალებდა გონებაში იმ ლათინურად თუ ლათინოსურად, მეორე დღესაც სუ ეგ ფრაზა ჩამესმოდა, შემდეგ ღამესაც, კაროჩე ხუთი ღამე არ მეძინა - ავდგებოდი, დავწვებოდი, ვჭამდი, ქუჩაში გავიდოდი, ტუალეტში შევიდოდი თუ ძმაკაცს ვნახავდი სუ ეს „პონე დომინე კუსტოდიამ ორი მეო ეტ ოსციუმ ცირკუმ სტანციე ლაბიის მის“. რა პონტში დამამახსოვრდა ამხელა სირობა აზზე არა ვარ, ერთსტროფიან ქართულ ლექსს ვერ ვიმახსოვრებდი ბავშობაში.

მოძღვართან წავედი რა. ვეუბნები - მამაო, შემინდე, მაგრათ მიტყდება, მარა ეგეთი ამბავი დამემართა, კათოლიკეებში ვიდვიჟენიე და მაგის მერე სუ ეს სიტყვები ჩამესმის მეთქი. ეგება ჯიგრულად გამომილოცო ან ის მაინც მითხრა რას ნიშნავს, ხო არ გამოვკათოლიკდი-მეთქი. ამ ჩემმა მოძღვარმა რაღაცები ეძება ნიგნებში, მარა ისეთი ვერაფერი იპოვა. ბოლოს - მე ლათინური არ ვიცი, მაგრამ ვინმეს ვიპოვი ვინც იცის, აქ დამინერე - ფსალმუნების ყდაზე და ერთ კვირაში გამოიარე, ისე კი შემინდიაო. კაროჩე მაგრა დავიზმენდი. მეთქი - ჰარი პოტერად ხო არ გადამაქციეს ამ ჩემისებმა.

ერთი კვირა რა გაძლებდა ტო? ეს პონე კუსტოდი ოციუმ სტანციე სირობები მიტრიალებდა სულ თავში, იმენნა არ მაძინებდა რა. ისეც იმ გამოქლიავებულ ლეუშას მივაკითხე. მეთქი - ძმურად, მიშველე რა! და ვუთხარი რაც დამემართა. ტიპმა შემომხედა და - შეენც, ბრატო? მეუბნება. მეთქი - რა მეც, ბიჭო? - შენც მოგაკითხა ღმერთმაო. მეთქი - რა პონტში, ბიჭო, ახსენი დროზე? და წავუჭირე ყელში ხელები. - მოიცა, შეჩემა, გეტყვიო და ტიპმა ისეთი სირობა დადო, ეხაც აზზე ვერ მოვდივარ. კაროჩეო, ეგო ლათინურად იმას ნიშნავსო, რო უფალო, ხმა

აღარ ამომალეზინო, მომაკეტინეო რა.

და რატო მეთქი და რავი, შეჩემა, ღმერთი ლაყაფისტ ტიპებს ვერ იტანსო და გაჩუმდა.

კაროჩე, მაგის მერე აღარ ვლაპარაკობ. მარტო ვწერ. ლექსებს.

III

- ირმა, რამდენი წელია აქ ხარ?

- უჰ, რა მოთვლის! მეიცა, გეტყვი... 2006-ში ჩამევედი, რამდენი გამოდის აპა?

- 12

- ტიტუ, სად წევიდა ეს წლები, ან რაფერ გაფრინდა ასე?

-კაი, ახლა, ფილოსოფიური მსჯელობების გარეშე, მომიყევი, რას აკეთებდი აქ ამდენი წელი?

-რას გავაკეთებდი, გოგო, ვმუშაობდი, რაფერაც სხვები მუშაობდენ, ეგრე ვმუშაობდი მეც. მარა კი მაქ კაი-კაი ამბები მოსაგონიებლათ. ჩემი ბედისა რა ვთქვი, ხანდისხან კი მეტირება ხოლმე ჩემ უბედურ თავზე, მარა მერე მახსენდება ყოლიფერი და მეცინება, რა ვქნა აპა.

-აუ, ირმა, მიდი რა ის ამბავი მოუყევი, კამპანიაში შენი სინიორე რო გააგიჟე! - საქმეში ერევა მარიამი.

- მეიცა გოგო, ბალანაა აგი, სირცხვილია.

- მიდი, რაის ბალანაა, ამხელა პროფესორა ქალია.

-ჰო კაი, კაი მოვყვები. მოკლეთ, ეს იტალიური არც ახლა ვიცი გადასარევათ და მაშინ ხო სუ არ ვიცოდი. ახალ ჩამოსულზე, იმ ჩემი ცოდვით სავსე ქალმა, მერო ქე ჩამომიყვანა, საცხა მიყრუებულ სოფელში არ გამამწესა ვინცხა კაცთან?! მარტო იყო ეს კაცი, არ იყო ხნიერი, კაი ჯანიანი კი იყო, ხოდა მე ინჩი-ბინჩი იტალიურის არ ვიცოდი, იმას კიდე ქართული რაფერ ეცოდინებოდა. მარა ქე ვახერხებდით რაცხას - ხელებით, ფეხებით, რავი რალაცფრად ვაგებიებდით ერთმანეთს. კაი ერთი კვირის მერე, ამ შეჩვენებულმა ხელების ფათური არ დეინყო? მეთქი - შენ ავათ ხარ, ვინცხა ხარ, ვის უბედავ ეგეთებს, შე ავადმყოფო?

- ავტეხე ერთი ამბავი. ეს კაცი კილო არ მეშვება, მეფაფხურება, ირმა მია, ამორე მიოო და რაცხა ჯანდაბებს მეძახის, მე კიდე - კაცო, მოშორდი აქედან, თორე შემომაკვდები ხელზე-მეთქი - აქეთ მე ვნიოკობ, იქით ის კიდე უფრო მეძაგრება. დედაა, მე დღეში ჩავვარდი, სუ მაგიდის გარშემო

ვარბენე ის კაცი, თან ქართულად ვლანძღავდი - სუ არაკაცოს ვეძახდი... ბოლოს დაიღალა ის შეჩვენებული და გამეშვა, მარა უცნაურად კი მიყურებდა, მხრებს იჩეჩავდა, ნონ კაპისკო ნიენტე, ე მოლტო სტრანოო - ბურტყუნებდა. მე კიდე ავდექი და იმ ქალს დავურეკე, ვინც ამასთან მომაგზავნა, მეთქი - ეს ვისთან გამომიშვი, ავადმყოფია აგი კაცი, ახლა დეელაპარაკე და რავარც გინდა ოუხსენი რო იმნაირი არ ვარ-თქო. ახლა ეს ქალი გადამერია კიდო - შანსი არაა, ეგ ეგეთი კაცი არააო. მოკლეთ, დავალაპარაკე. ილაპარაკეს, იბრუტუნეს რაცხები, ეს კაცი აქიდან უხსნიდა, ის იქედან, მე კიდო ვერაფერი გევიგე, მარა ტელეფონი რო მომცა, ეს ქალი მეუბნება: - გოგო, კაცოს ნუ ეძახი, მაგან რა იცის ქართულად კაცო რა არი, იტალიურად ესმის და მაგიტო დაგდევაო.

განყდა ამათი ენა, კაცო რო არ დაერქმიათ იმ საოხრესთვის, სხვა სიტყვები არ ჰქონდათ? მარა რა უჯიშოებიც არიან, ეგრე უჯიშო სიტყვები აქვთ, რა უნდა ქნა. ისე, შენ ხო ფილოლოგი ხარ, აეს იტალიური კაცო და ქართული კაცი რამე კავშირშია ერთმანეთთან?

- არა, არაფერ კავშირში!

- ოჰ, არ მჯერა მე მაგი! აბა ყველა კაცი იმფერი რატოა?..

IV

რა ენაზეც არ უნდა გითხრა, ვერ მიხვდები, თუ რას ნიშნავს სიტყვა, რომელსაც მხოლოდ შენ გეტყვი, მხოლოდ შენთვის გამოვიმეტებ... ვერ მიხვდები, ვინაიდან შენ არცერთი ენა არ იცი. შენ მხოლოდ ხმა გაქვს, ხმა და ექო, ენა არა გაქვს, რადგან უენო სამშობლოში დაიბადე და არასოდეს არავის უთქვამს მშობლიური სიტყვები შენთვის, რადგან უენო სამშობლოში დაიბადე და მხოლოდ ხმა დაგყვა, ხმა რომელიც ვერასოდეს იქცევა სიტყვად.

ჩემი სამშობლო სიტყვებია. მე შენ გაჩუქე ეს სამშობლო, მთა-გორიანი მისი ბგერები მოგატარე და მის მღელვარე მნიშვნელობებშიც შეგაცურე, მაგრამ შენ მხოლოდ შეგეშინდა, სხვა არაფერი, რადგან უენო სამშობლოში დაიბადე და მარტო ხმა გაქვს, ხმა რომელიც ვერასოდეს იქცევა სიტყვად.

შეხედე ჩემი სამშობლოს რუკას. ზედ სიტყვებია დატანილი - ვეებერთელა

მთა სიტყვები და დატალღული შავი ბგერა, როგორც ნაგლეჯი იმ ზღვის, რომელშიც ვერასოდეს შემოგიყვანე, რადგან უენო სამშობლოში დაიბადე და მხოლოდ ხმა გაქვს, ხმა რომელიც ვერასოდეს იქცევა სიტყვად. და ამიტომაც გირჩევნია უყურო რუკას, რომელიც ყველა სხვა რუკას ჰგავს და იმისთვის აწერია ორიოდ სიტყვა, რომ სხვა სიტყვებს მნიშვნელობა გამოაცალოს.

ჩემი სამშობლო სიტყვებია. ყველა ის სიტყვა, რაც შენთვის მითქვამს უენოთა ხმაზე ვთარგმნე და ასე დავწერე ჩემი ყველაზე დიდი ქმნილება - უცხო სიტყვათა ლექსიკონი უენოთათვის.

V

- ეს წიგნი მთელ ევროპაში ბესტსელერია. საბედნიეროდ, თქვენ უკვე გაქვთ მისი ქართული თარგმანი და ამისთვის დიდი მადლობა მთარგმნელს. წიგნში აღწერილია ამბავი იმისა, თუ როგორ შეცვალა ერთმა უბრალო კაცმა მთელი კაცობრიობა. თუ გულისყურით წაიკითხავთ, დამიჯერეთ, თქვენც შეიცვლებით.

- ბატონო იოანე, თქვენ თავად იცნობდით ამ კაცს?

- დიახ, ვიცნობდი. მასწავლებელი იყო ჩემი.

- და რა ერქვა?

- კაცი.

- კი მაგრამ...

- ნუ ჩქარობთ, თქვენ უკვე გაქვთ წიგნის ქართული თარგმანი, წაიკითხეთ და იქ წერია ყველაფერი.

- კარგით, ხალხო, ნუ შევანუხებთ მწერალს პირადი შეკითხვებით!

- არაუშავს, დასამალი არაფერია. წიგნში ისედაც ყველაფერი წერია.

- შემდეგი შეკითხვა!

- უენო სამშობლოში დაბადებულთა ასოციაციის სახელით მოგესალმებით! ჩვენთვის დიდი პატივია ამ რანგის მწერალთან შეხვედრა. დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩვენს სამშობლოში ჩამობრძანებისთვის. ჩემი კითხვა თქვენს ფრაზას უკავშირდება. როგორც ბრძანეთ, ერთმა კაცმა კაცობრიობა შეცვალა და ამაზეა ეს წიგნიო. მოგეხსენებათ, ჩვენ ახლა სწორედ ცვლილებები გვჭირდება. შეგიძლიათ, მიგვანიშნოთ მაინც როგორ ან რით შეცვალა ამ კაცმა კაცობრიობა?

- სიტყვით.

- და რა სიტყვით? წერია ეს სიტყვა თქვენს წიგნში?
- ეს სიტყვა ყველა წიგნში წერია, მაგრამ არასდროს იკითხება!
- და ყველა მწერალი თქვენსავით გაუგებრად საუბრობს?
- კი, თითქმის ყველა!
- კი მაგრამ, რატომ?
- იმიტომ რომ მწერლებს სიტყვების ემინიათ.

VI

- აი, პროსტა ხმა არ ამოიღო, სიტყვა არ მითხრა, გესმის? მეტეი - გმორდები და იმან ერთი სიტყვაც კი არ თქვა, გაბრუნდა და წავიდა.
- იქნებ დაიბნა?
- დაიბნა არა! მაგას რა დააბნევს, მაგრა გაუხარდა მე თვითონ რო ვუთხარი, გმორდები-მეთეი, ისე გაუხარდა, რო კაიო ეგეც კი ვერ მითხრა.
- აუ კაი რა, ხო იცი ხვალ მაინც ამოგაკითხავს.
- ჰო, ამომაკითხავს და ისევ მე უნდა ვილაპარაკო და ის ისევ ჩუმად უნდა იყოს. პროსტა ძაან დავიღალე. რა გაუხდა, ერთხელ სუ ერთხელ მაინც ეთქვა, ამდენი წელია ერთად ვართ და წარმოგიდგენია, ერთხელ ვერ ვათქმევინე.
- კაი, რა ისედაც ხო იცი რო უყვარხარ.
- ვუყვარვარ არა! მაგას ის უყვარს, მე რო ეგ მიყვარს და არა ვინმე სხვა.
- აუ, რავი, ვერაფერი გავიგე ამ თქვენი ურთიერთობის.
- ვერც მე!
- ალბათ ვერც იმან!
- ისე, უთქმელი სიყვარული ყველაზე ნამდვილიაო ეგრე ამბობენ!
- რა ჯანდაბად მინდა ეგეთი სიყვარული, თუ არ მეცოდინება რომ სიყვარულია...

VII

- გინდა ოდისევის ზღაპარი მოგიყვე?
- კი მინდა!
- კაი, ოღონდ პირობა მომეცი, რომ მერე დაიძინებ!
- კაი, დავიძინებ!
- მოკლედ, ოდისევის იყო მეზღვაური და სულ ზღვისკენ უწევდა გული.

ერთხელ ზღვაში დაიკარგა. ბევრი წელი დახეტილობდა ზღვებზე და გზას ვერ იგნებდა. საზღვაო რუკა კი ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ იგნებდა. ამ ხეტიალის დროს აზიასაც მიადგა, აფრიკაშიც აღმოჩნდა, მგონი საქართველოშიც კი მოვიდა, თურქეთიდან ამოაჭრა.

- და ეგ ოდისევსი როდის ცხოვრობდა კი მარა?

- უუჰ, ბევრი საუკუნის წინ, უხსოვარ დროს.

-და მაშინ თურქეთი არსებობდა? შენ ხო მითხარი, თურქეთი ახალი ქვეყანააო.

-არა, თურქეთი არა, მარა სხვა ქვეყნები ხო არსებობდნენ მანდ, ხოდა მაგ ქვეყნებშიც იყო და მერე აქ მოვიდა.

- და საქართველო არსებობდა ოდისევსის დროს?

- აბა რა! საქართველო სუ არსებობდა!

- მერე?

-ხოდა, ბევრიიხეტიალა ამ ოდისევსმა. მეზღვაური კი იყო მარამობეზრდა ამდენი ხეტიალი ზღვაზე, თან თავისი ცოლ-შვილი მოენატრა, თან უკვე ბერდებოდა და იმდენიც აღარ შეეძლო. და ღმერთს სთხოვა: ღმერთო, ისეთი რუკა მომეცი ზედ ჩემი სახლისკენ მიმავალი გზა რომ ეწეროსო და პირობას გაძლევ, სულ სახლში ვიქნები, ზღვაში აღარასდროს გავალო. წარმოგიდგენია, რამხელა მსხვერპლზე წავიდა?

- და რა ქნა, დაბრუნდა ბოლოს სახლში?

- ვერა, მაინც ვერ დაბრუნდა.

- რატო?

- იმიტო რო ღმერთმა ეგეთი რუკა კი მისცა, მაგრამ ამან ვერ წაიკითხა რა ეწერა, სხვა ენაზე დაუნერა სახლისკენ მიმავალი გზის მინიშნებები.

- და რა ენაზე? თავის ენაზე?

- ჰო, ღმერთის ენაზე.

- და ოდისევსმა არ იცოდა ღმერთის ენა?

- არა, საიდან ეცოდინებოდა, ბერძენი იყო.

- და ღმერთმაც არ იცოდა ოდისევსის ენა?

- არა ღმერთმა ადამიანების ენა არ იცის. მარტო თავისი ენა იცის.

- აბა, ღმერთის ენა რომელია? იცი შენ?

- იასნა, ვიცი! ქართული!